ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. ივნისის 20. № 12 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

87. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

87. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 4-ის დადგენილებით დამტკიცებული 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 30 №-ი, მუხ. 189-ა და 189-ბ) და ა/კსფსრ-ში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების წესის შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 20-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა" 1932 წ. № 117) შესაბამისად და აგრეთვე კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ გლეხთა ვაჭრობის წარმოების წესისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის გადასახადის შემცირების თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 29-ის დადგენილების თანახმად (სსრკ-ის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის „იზვესტია" 1932 წ. № 130)—საქართველოს სსრ სახალხო კომისირთა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲐᲠᲘ I.

ზოგადი დებულებანი.

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება:

ა) კოლექტიური მეურნეობა (სასოფლო-სამეურნეო კომუნა, სასოფლო-სამეურნეო არტელი და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა);

ბ) კოლმეურნეობის წევრის მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილი;

გ) ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობა.

2. სარეწაო კოოპერაციის კავშირის შედგენილობაში შემავალი შერეული სარეწაო სასოფლო-სამეურნეო არტელი (სარეწაო კოლექტიური მეურნეობა) დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ყველა თავისი შემოსავლის მიხედვით, უკეთუ სოფლის მეურნეობა ამ არტელში განსაზოგადოებულია არა ნაკლებ, ვიდრე იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელნიც კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირის შედგენილობაში შედიან.

3. ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობის მიერ უმარტივეს შენაერთში მონაწილეობით მიღებული შემოსავალი დაიბეგრება მის ინდივიდუალურ მეურნეობაში.

4. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება ზემო-სვანეთის რაიონისა და ხევსურეთის მშრომელი მოსახლეობა.

5. საგადასახადო წელიწადი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის ითვლება 1932 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე ამ რიცხვითურთ.

ᲗᲐᲠᲘ II.

კოლექტიურ მეურნეობათა დაბეგვრა.

ა. კოლმეურნეობათა დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშება.

6. გადასახადი გამოიანგარიშება თვითეული კოლექტიური მეურნეობისათვის მისი საერთო შემოსავლის მიხედვით.

საერთო შემოსავალი გამოირკვევა კოლექტიური მეურნეობის საგადასახადო წლის წლიური ანგარიშის საფუძველზე.

გადასახადის გამოანგარიშების დროს კოლექტიური მეურნეობის საერთო შემოსავალს გამოაკლდება:

ა) ყველა ანარიცხი განუყოფელი ფონდისათვის და სხვა საზოგადოებრივი ფონდებისათვის;

ბ) შეღავათის წესით დადგენილი ყველა მონაკლები;

გ) თევზაობის ყველა ის შემოსავალი, რაც იბეგრება თევზაობის ერთიანი გამოსაღებით;

დ) კოლექტიური მეურნეობის არასამიწათმოქმედო საწარმოთა ყველა საწარმოო ხარჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. გადასახადის გამოანგარიშება კოლექტიურ მეურნეობათათვის.

7. გადასახადი კოლექტიური მეურნეობისათვის გამოიანგარიშება შემდეგი რაოდენობით:

ა) სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და არტელისათვის—3 კაპიკი საერთო შემოსავლის თითო მანეთზე;

ბ) მიწის საერთო ძალით დამმუშავებული ამხანაგობისათვის—5 კაპიკი საერთო შემოსავლის თითო მანეთზე.

კოლექტიური მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარდა, არავითარი სხვა გადასახადით არ დაიბეგრება; გამონაკლის შეადგენს მხოლოდ: ა) ბრუნვის გადასახადი იმ საწარმოს და სარეწაოსათვის, რომელიც დაბეგრილ უნდა იქნეს ბრუნვის გადასახადის კანონის თანახმად, ბ) წყლის გამოსაღები სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონებში; ამ გადასახადებით კოლექტიური მეურნეობა დაიბეგრება.

გ. კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები.

შეღავათები მცირეძალოვანი კოლექტიური მეურნეობებისათვის.

8. მცირეძალოვანი კოლექტიური მეურნეობა განთავისუფლდება დაბეგვრისაგან სრულად ან ნაწილობრივ სარაიონო საგადასახადო კომისიის დადგენილებით.

კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები ნათესი ფართობის გადიდების მიზნით.

9. ნათესი ფართობის გადიდების მიზნით კოლექტიურ მეურნეობაში დაბეგვრისაგან განთავისუფლდება მთლად ნათესი ფართობის ნამატი გაუტეხავ და დიდხანს უხმარ მიწაზე.

კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები მეცხოველეობისა და მერძეული მეურნეობის განვითარების მიზნით.

10. მეცხოველეობისა და მერძეული მეურნეობის განვითარების მიზნით კოლექტიურ მეურნეობებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

ა) ყველა სახის ოთხფეხი საქონელი კოლექტიურ მეურნეობაში დაბეგვრისაგან განთავისუფლდება;

ბ) იმ კოლექტიურ მეურნეობაში, სადაც, კოლმეურნეობათა ცენტრის სათანადო სადარგო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, სასაქონლო ფერმებია, სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება ამ ფერმების მთელი საერთო შემოსავალი და აგრეთვე იმ საკვების მთელი ღირებულება, რასაც კოლექტიური მეურნეობა ფერმას გადასცემს, ან საკვები ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახის იმ ნათესი ფართობის შემოსავალი, რასაც კოლმეურნეობა სპეციალურად სასაქონლო ფერმას მიამაგრებს;

გ) შემოსავალი თვითეული ჰექტარი მიწისა, რაც ნათეს ბალახს და საკვებ ფესვნაყოფა მცენარეს უჭირავს, გაუთანასწორდება ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურის შემოსავალს იმავე კოლექტიურ მეურნეობაში;

დ) საკვები ფესვნაყოფა მცენარის სათესლე ნაკვეთების ფართობი დაბეგვრისაგან განთავისუფლდება.

კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები ტექნიკური კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარების მიზნით.

11. ტექნიკური კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარების მიზნით კოლექტიურ მეურნეობებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

ა) დაბეგვრისაგან განთავისუფლდება:

1) შაქრის ჭარხლის ნათესი და ჩაის პლანტაცია

2) სელისა და კანაფის ნათესის მთელი ნამატი ფართობი 1931 წელთან შედარებით;

3) მთლად სელისა და კანაფის ნათესი ახლად გამოყენებულ მიწაზე და აგრეთვე მთლად კანაფის ნათესი მინდვრად;

4) მეაბრეშუმეობის შემოსავალი და თუთის ხის ხრალის შემოსავალი;

ბ) თვითეული ჰექტარი სელისა და კანაფის შემოსავალი კოლექტიურ მეურნეობაში გაუთანასწორდება ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურის ნახევარ შემოსავალს იმავე კოლექტიურ მეურნეობაში;

გ) ბამბის, სოიას, მზეუჭვრიტას, ეთეროვან-ზეთოვანი მცენარეების და სხვა ზეთოვანი მცენარეების, აგრეთვე ყვითელი თამბაქოს და წეკოს, აბუსალათინის, ხაოიანი მცენარის და სორგოს ნათესისა და ცერცვოვანი მცენარეების სათესლე ნაკვეთებისა, ბოსტნისა, ბაღისა, ვენახისა, მანდარინისა, ციტრუსოვანი მცენარეებისა და ხმილის (იაგოდა) ნარგავის და ბრინჯის ნათესის დაბეგვრისათვის ამ კულტურების თვითეული ჰექტარის შემოსავალი გაუთანასწორდება ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურის შემოსავალს იმავე კოლექტიურ მეურნეობაში (ხოლო უკეთუ უწყებულ კოლექტიურ მეურნეობაში მარცვლეული ნათესი არ არის,—ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურის საშუალო შემოსავალს, რაც იქნება იმავე რაიონის კოლექტიურ მეურნეობებში);

დ) კოლექტიურ მეურნეობაში სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან:

1) ბამბის ნათესი ურწყავ მიწაზე ყველა სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონში და ყველა ახალ რაიონში;

2) კენაფის, კენდირის, რამის, კაუჩუკოსანი მცენარეების, არახისის, საბაგირო მცენარის, სამხრეთის კანაფის და ზაფრანის ნათესი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) მიწის ფართობი, რაც 1931 და 1932 წლებში ახლად იქნა გამოყენებული ბოსტნისათვის;

4) ამოძირკულ ან მელიორირებულ ნაკვეთზე 1931 და 1932 წ. ახლად გაშენებული ყვითელი თამბაქოს და წეკოს პლანტაციების ფართობი—ორი წლით გაშენების დროიდან; სხვა ნაკვეთებზე 1932 წელს ახლად გაშენებული ყვითელი თამბაქოს და წეკოს პლანტაციების ფართობი—ერთი წლით გაშენების დროიდან;

ე) მეფრინველეობა, შინაური კურდღლის მოშენება, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა კოლექტიურ მეურნეობაში სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

იმ კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები, რომელთაც დავალებანი შეასრულეს.

12. იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც სავსებით და თავის დროზე შეასრულებს დავალებას დამზადების დარგში და ამასთანავე სწორად დააყენებს აღნუსხვას და ანგარიშგებას, გამოანგარიშებული გადასახადი შეუმცირდება 25%-მდე.

ეს თანხები დარჩება კოლექტიური მეურნეობის გამგეობის განკარგულებაში იმ მიზნით, რომ მან მისცეს პრემია საუკეთესო ბრიგადებს, რომელთაც დავალების შესრულება უზრუნველჰყვეს, და ცალკეულ კოლმეურნეებს (დამკვრელებს).

13. მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც „სოიუზსემენოვოდის“ ქსელში შედის, გამოანგარიშებული გადასახადი შეუმცირდება 10%-ით, უკეთუ იგი მთლად შეასრულებს საწარმოო დავალებას მეთესლეობის დარგში; ეს გარემოება არ წაართმევს კოლექტიურ მეურნეობას იმის უფლებას, რომ მას, აღნიშნული შეღავათის გარდა, გადასახადი შეუმცირდეს აგრეთვე 12 მუხლის თანახმად.

შეღავათები საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების მიზნით.

14. საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების მიზნით კოლექტიური მეურნეობის ის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს ბაზარზე თავისი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით, დაბეგვრისაგან განთავისუფლდება.

შეღავათები კოლმეურნეთა არასამიწათმოქმედო საშოვარის ანარიცხების დარგში.

15. კოლექტიური მეურნეობის საერთო შემოსავლიდან დაბეგვრის დროს გამოირიცხება კოლექტიური მეურნეობისათვის გადაცემული ყველა ანარიცხი კოლმეურნეთა არასამიწათმოქმედო საშოვარისა, უკეთუ ეს საშოვარი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება (მუხ. 33).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ კოლმეურნეობათა შეღავათები, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან სამხედრო მსახურნი, ორდენებით დაჯილდოებული პირნი, შრომის გმირები, გამხედროებული დაცვისა და მილიციის სამსახურში მყოფი პირნი და აგრეთვე კულაკური გამოსვლებისაგან დაზარალებული პირნი და სხვ.

16. გადასახადის გამოანგარიშების დროს კოლექტიური მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალს გამოაკლდება ის ნაწილი, რაც მოდის კოლექტიური მეურნეობის შემდეგ წევრებზე:

ა) იმ პირზე, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ერთი ან რამდენიმე ორდენით, ან და საპატიო რევოლუციონური იარაღით, აგრეთვე შრომის გმირზე;

ბ) საკადრო სამერიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურზე, რომელიც ვადიან (მუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1932 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო და რეზერვში მყოფ სამხედრო მსახურზე;

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის იმ პირზე, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება და რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდედამდე და ჯარსგარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ე) უმცროსი საკომანდო შედგენილობის იმ სამხედრო მსახურზე, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ვ) ყოფილ წითელგვარდიელზე და წითელპარტიზანზე;

ზ) მილიციის და შრომა-გასწორების დაწესებულების ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირზე;

თ) გამხედროებული დაცვის სამსახურში მყოფ პირზე (მათ რიცხვში—გამხედროებული სახანძრო დაცვის სამსახურში მყოფ პირზე);

ი) ომისა და შრომის ინვალიდზე, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება;

კ) კულაკების მიერ მოკლული სოფლის აქტივისტისა და აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით მოკლული ტყის მომუშავის ქვრივზე და არასრულწლოვან შვილზე—ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნულ პირთა სიკვდილის შემდეგ;

ლ) კოლექტიურ მეურნეობაში მიღებულ საბავშვო სახლის მოწაფეზე და გარედან აყვანილ სრულ ობოლზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახლებულ კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები.

17. იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც ახალ ადგილას საგეგმო წესით გადასახლდება, მიეცემა შემდეგი შეღავათები:

ა) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სხვა სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზადებისათვის, გადასახადისაგან განთავისუფლდება 6 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ;

ბ) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, განთავისუფლდება გადასახადისაგან 4 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ;

გ) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც გაუტეხავი მიწის დამუშავება საჭირო არ არის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ.

დ. კოლექტიურ მეურნეობათა მიერ გადასახადის გადახდის წესი და ვადები.

18. არა უგვიანეს 1932 წლის ოქტომბრის 1-ისა კოლექტიური მეურნეობის გამგეობა თავისი დავთრებისა და საწარმოო გეგმის მიხედვით გამოიანგარიშებს გადასახადის იმ განაკვეთს, რაც ამ კოლექტიურ მეურნეობაზე მოდის.

19. გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ვადებზე:

50% შეწერილი გადასახადისა—1932 წლის ნოემბრის 1-სათვის და 50%—1932 წლის დეკემბრის 15-სათვის.

შენიშვნა. აფხაზეთის ავტ. სსრ-ში 50% შეწერილი გადასახადისა გადახდილ უნდა იქნეს 1932 წლის დეკემბრის 1-სათვის და 50%—1933 წლის იანვრის 15-სათვის.

20. არა უგვიანეს 1933 წლის თებერვლის 1-ისა კოლექტიური მეურნეობის გამგეობა, თავისი წლიური ანგარიშის საფუძველზე, წარუდგენს სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს (საფინანსო განყოფილების ხაზით) ცნობებს, რაც საჭიროა 1932 წლის გადასახადის საბოლოოდ გამოანგარიშებისათვის.

21. უკეთუ საბოლოოდ გამოანგარიშებული გადასახადი იმ თანხაზე მეტი აღმოჩნდა, რაც კოლექტიურმა მეურნეობამ შეიტანა, განსხვავება გადახდილ უნდა იქნეს 10 დღის ვადაზე საბოლოოდ შეწერილი გადასახადის გამოცხადების დღიდან.

უკეთუ კოლექტიურმა მეურნეობამ შეიტანა მეტი თანხა, ვიდრე მასზე საბოლოო გამოანგარიშებით მოდის, ზედმეტად გადახდილი თანხა მას დაებრუნება 10 დღის ვადაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა რ ი III.

კოლმეურნეთა მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილის დაბეგვრა.

ა. კოლმეურნეთა დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშება.

22. კოლმეურნეთა მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილისათვის გადასახადი გამოიანგარიშება იმ შემოსავლის მიხედვით, რაც მიიღება შემდეგი წყაროებიდან:

ა) მემინდვრეობა;

ბ) მეველეობა;

გ) სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგები, რომელთათვისაც ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან (29 მუხლის „დ“ პუნ.);

დ) არასამიწათმოქმედო საშოვარი.

23. კოლმეურნის დასაბეგრი შემოსავალი 22 მუხლში ჩამოთვლილი წყაროებიდან განისაზღვრება იმავე წესით, როგორც ინდივიდუალურ მეურნეობათა შემოსავალი (მუხ. 30-41, 43-46).

24. კოლმეურნის არასამიწათმოქმედო საშოვარის აღნუსხვის დროს გამოკლებულ უნდა იქნეს ის ნაწილი, რაც კოლექტიური მეურნეობის სახსარში ჩაირიცხება.

უკეთუ კოლექტიური მეურნეობის წევრმა შემოსავლის წყაროების აღნუსხვის დროისათვის თავი მიანება იმ რეწაობას, რაც მას არასამიწათმოქმედო საშოვარს აძლევდა, სასოფლო საგადასახადო კომისიას შეუძლიან ეს საშოვარი დაბეგვრისაგან გაანთავისუფლოს.

ბ. კოლმეურნეთათვის გადასახადის გამოანგარიშება.

25. უკეთუ კოლმეურნის განუსაზოგადოებელი დასაბეგრი შემოსავალი 50 მანეთს არ აღემატება, გადასახადი გადახდვინებულ უნდა იქნეს მტკიცე განაკვეთის მიხედვით—4 მანეთის რაოდენობით.

გადასახადის გამოანგარიშება იმ კოლმეურნესათვის, რომელსაც დასაბეგრი შემოსავალი 50 მანეთზე მეტი აქვს, მოხდება განაკვეთის შემდეგი ტაბულის მიხედვით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან იმ კოლმეურნის მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილი, არასამიწათმოქმედო საშოვარითურთ, რომელიც დაკონტრაქტებული იქნება სამუშაოდ სახელმწიფო მრეწველობაში (მათ შორის ხე-ტყის დამზადებისა და ხე-ტყის ჩამოტივტივების საქმეში, სახელმწიფო სათევზაო მრეწველობაში და სხვ.), ტრანსპორტში, კავშირგაბმულობის საწარმოში, საბჭოთა მეურნეობაში, სახელმწიფო მშენებლობაში და აგრეთვე სამომხმარებლო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მშენებლობაში. ეს შეღავათი გავრცელდება აგრეთვე გარეთ წასულ იმ მონადირეზე, რომელიც დაკონტრაქტებული იქნება საბეწვეულო ნედლეულის ძირითადი დამზადებლების მიერ; კოლმეურნეს მოესპობა ეს შეღავათი, უკეთუ იგი სამუშაოდან წავიდა იმ ვადის გასვლამდე, რა ვადითაც იგი დაკონტრაქტებულია.

დ. კოლმეურნეთა მიერ გადასახადის გადახდის ვადები.

28. კოლმეურნეთათვის გადასახადის გადახდის ვადები დადგენილია იმავე საფუძველზე, როგორც ინდივიდუალურ მეურნეობათათვის (მუხ. 72 და 73).

ნ ა ნ ი IV.

ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების დაბეგვრა.

ა. ზოგადი დებულებანი.

29. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება თვითეული მეურნეობისათვის იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი იღებს შემდეგი წყაროებიდან:

ა) მემინდვრეობა;

ბ) მეველეობა;

გ) ყოველგვარი ოთხფეხი საქონელი, ღორის გარდა;

დ) სოფლის მეურნეობის შემდეგი სპეციალური დარგები: მებოსტნეობა, მებაღჩეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მებამბეობა, მეთამბაქოობა, მებრინჯეობა, მანდარინის ნარგავი და სხვ.;

ე) არასამიწათმოქმედო საშოვარი (სამუშაო ხელფასი, შინამრეწველობა, ხელოსნობა და სხვა საშოვარი).

შენიშვნა. მეთევზეობის შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ სათევზაო მეურნეობაში, რომელიც დაჭერილ თევზს არ აბარებს კონტრაქტაციით სახელმწიფო სათევზაო მრეწველობის საწარმოს ან კოოპერატიულ ორგანიზაციას.

ნადირობის რეწვაობის შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება.

30. ის წყარო, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, არავითარი სხვა გადასახადით არ დაიბეგრება, გარდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სარეწაო გადასახადისა იმ საწარმოს და რეწაობისათვის, რომელიც იბეგრება ბრუნვის პროცენტული შეფარდებით;

ბ) წყლის გამოსაღებისა—სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში;

გ) საბილეთო გამოსაღებისა—თევზის სარეწაო ჭერის უფლებისათვის.

იმ მიწის ნაკვეთზე, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, აგრეთვე იმ აღნაგიან ნაკვეთზე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სარგებლობასთან, მიწის რენტა გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

ის შენობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი მეურნეობის შედგენილობაში შედის, განთავისუფლდება შენობის ადგილობრივი გადასახადისაგან.

31. ის მოქალაქე, რომელიც სოფლის მეურნეობას საქალაქო მიწაზე ეწევა, გადაიხდის თავის შემოსავალზე ან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ან საშემოსავლო გადასახადს.

ქალ. ტფილისსა, ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბორჯომსა, გაგრასა, სიღნაღსა, თელავსა და ჭიათურაში ის მოქალაქე, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება.

ყველა დანარჩენ ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ის მოქალაქენი, რომელნიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრებიან როგორც სოფლის მეურნეობის შემოსავლის, ისე არასამიწათმოქმედო საშოვარის მიხედვით, ხოლო ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრებიან და სათანადო შემთხვევაში დაიბეგრებიან სხვა გადასახადით შემდეგი კატეგორიის მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ მიჩენილი სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის გამოსადეგი მიწა (გარდა საეზოვე ნაკვეთისა):

ა) მეურნეობა, რომელსაც აქვს სამომხმარებლო ხასიათის ბოსტანი, ხილის ბაღი, ვენახი და სხვ. არა უმეტეს 0,05 ჰექტარისა და ნორმატიული შემოსავალი სოფლის მეურნეობის სხვა ძირითადი დარგებიდან არა უმეტეს 50 მანეთისა წელიწადში;

ბ) მეურნეობა, რომელსაც აქვს შემოსავალი მხოლოდ სოფლის მეურნეობის მეორეხარისხოვანი დარგებიდან (მეფუტკრეობა, მეფრინველეობა და სხვ.).

32. ის მოქალაქე, რომელიც ქალ. ტფილისსა, ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბორჯომსა, გაგრასა, სიღნაღსა, თელავსა და ჭიათურაში სცხოვრობს, ხოლო ამავე დროს სოფლის მეურნეობა ქალაქის გარეშე აქვს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს გადაიხდის იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი სოფლად მიიღებს, და სამუშაო ხელფასის მიხედვით. დანარჩენი საქალაქო შემოსავლისათვის, სამუშაო ხელფასის გარდა, იგი დაიბეგრება სხვა გადასახადებით მთლად ქალაქის მოსახლეობის თანაბრად.

33. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება სამუშაო ხელფასი:

ა) სასოფლო-სამეურნეო მუშებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და სასოფლო საბჭოს წევრისა და აგრეთვე სოფლად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას მდებარე და საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ყველა დაწესებულების მუშა-მოსამსახურისა;

გ) გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტში და სოფლის პირველი საფეხურის კოოპერატივში არჩევით მომუშავე პირისა;

დ) სარაიონო, საუბნო და კოლმეურნეობასა, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობასა და კოოპერატიულ ორგანიზაციაში მომუშავე აგრონომისა და ზოოტექნიკოსისა, მათი თანაშემწეებისა და კონტროლ-ასისტენტებისა;

ე) ტყის გამგისა, მისი თანაშემწისა, მეტყევისა, ტყის მცველისა და ტყის დარაჯისა, აგრეთვე კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირის იმ მუშა-მოსამსახურისა, რომელიც სოფლად ან ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას მუშაობს.

ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება:

1) სასყიდელი შრომის ბეგარის წესით მუშაობისათვის;

2) ლიტერატურული საშოვარი;

3) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურისა და მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო შედგენილობის მომუშავის ყოველგვარი კმაყოფა;

4) სახელმწიფო დაწესებულებისაგან მიღებული პენსია.

ამა მუხლში ჩამოთვლილი შემოსავალი სათანადო შემთხვევაში დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით კერძო პირთა საშემოსავლო გადასახადის დებულების თანახმად.

შენიშვნა. სოფლის პირველი საფეხურის სარეწაო კოოპერატივში არჩეულ თანამდებობაზე მუშაობისათვის მიღებული სამუშაო ხელფასი განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არჩეულ პირს ამა თუ იმ კოოპერატივში არა აქვს სხვა შემოსავალი, გარდა იმ სამუშაო ხელფასისა, რასაც იგი საარჩევნო თანამდებობით იღებს.

ბ. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშება.

შემოსავლიანობის ნორმები.

34. შრომითი მეურნეობის მემინდვრეობისა, მეველეობისა, მესაქონლეობისა, მებოსტნეობისა, მებაღჩეობისა, მებაღეობისა, მევენახეობისა, მეთამბაქოობისა და სხვასპეციალური დარგების შემოსავალი გამოიანგარიშება შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით.

35. საქართველოს სსრ-ის ცალკეული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის (ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქისა და რაიონებისათვის) დაწესებულია შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო ნორმები მანეთობით:

ავტონომიური რეს-პუბლიკები და რაიონები	ნათესი	სათიბი	ხილის ბაღი	ვენახი	ბოსტნეული და ბაღჩა	კარტოფილი	თამბაქო	მანდარინი	ბამბა	ბრინჯი	პროდუქტ. მსხვ. რქოს. საქონელი	ხარი და კამეჩი	ცხენი	ვირი	ცხვარი და თხა	ჩარჩ.	ოფ.
სამხრეთ-ოსეთი	55	15	375	282	234	55	—	—			12	10	16	6	3		
ტფილისის	65	11	367	409	372	65	—	—			18	16	18	6	3		
ყარაიას	65	20	367	409	372	65	—	—			18	16	18	6	3		
ბორჩალოს	80	34	367	409	372	80	—	—			15	16	18	6	3		
ბაშკიჩეთის	46	18	367	409	200	46	—	—			20	16	18	6	3		
წალკის	44	17	367	—	200	44	370	—			16	16	18	6	3		
ლუქსემბურგის	74	18	367	470	372	74	—	—			17	16	18	6	3		
გარე-კახეთის	63	15	367	409	372	63	—	—			16	16	18	6	3		
მცხეთის	60	19	367	409	372	60	—	—			16	16	18	6	3		
ერწო-თიანეთის	52	13	367	--	—	52	—	—			12	16	18	6	3		
აღბულახ-მანგლისის	57	22	367	409	372	57	—	—			13	16	18	6	3		
ხევის	44	12	367	—	—	44	—	—			13	16	18	6	3		
დუშეთის	50	12	367	409	312	50	—	—			13	16	18	6	3		
თელავის	53	19	328	402	430	53	—	—			15	17	19	6	3		
სიღნაღის	66	19	328	453	300	66	242	—			15	17	19	6	3		
გურჯაანის	60	19	328	543	335	60	—	—			15	17	19	6	3		
ლაგოდეხის	73	19	328	255	372	73	296	—			15	17	19	6	3		
ყვარელის	64	19	328	459	334	64	242	—			15	17	19	6	3		
გორის	61	16	404	345	326	61	—	—			12	15	16	6	3		
ბორჯომის	59	16	310	335	326	59	242	—			16	15	16	6	3		
კასპის	59	16	338	360	326	59	—	—			11	15	16	6	3		
სტალინისის	59	16	310	336	326	59	—	—			11	15	16	6	3		
ახალქალაქის	62	20	375	—	220	62	119	—			16	18	16	6	3		
ბოგდანოვკის	50	20	—	—	—	55	—	—			20	18	24	6	3		
ახალციხის	55	20	384	—	278	55	141	—			15	18	17	6	3		
ადიგენის	55	20	384	—	278	55	141	—			15	12	17	6	3		
ტოლოშის	55	20	384	—	278	55	141	—			15	12	17	6	3		
აფხაზეთი	57	16	225	205	359	57	391	810	57	320	11	15	15	6	1—80	8	5
აჭარისტანი	46	10	206	185	200	46	249	810			11	14	14	6	1—80		
ქუთაისის	56	10	406	286	386	56	—	—			11	12	16	6	1—80		
ზესტაფონის	50	10	259	552	250	50	—	—			11	15	16	6	1—80		
სამტრედიის	69	10	406	169	386	69	—	—			11	15	16	6	1—80		
ჭიათურის	40	10	259	270	250	40	—	—			11	15	16	6	1—80		
ამბრ[illegible]ლაურის	53	10	259	270	250	53	242	—			11	15	16	6	1—80		
ბაღდადის	54	10	259	530	250	54	—	—			11	15	16	6	1—80		
ვანის	65	10	342	371	250	65	—	—			11	15	16	6	1—80		
ოკრიბის	30	10	342	200	250	30	—	—			11	15	16	6	1—80		
ონის	53	10	242	250	250	53	—	—			11	15	16	6	1—80		
ჩხარის	50	10	299	519	250	50	—	—			11	15	16	6	1—80		
ქვემო-სვანეთის	29	10	299	250	250	29	—	—			11	15	16	6	1—80		
ცაგერის	50	10	299	287	250	50	—	—			11	15	16	6	1—80		
ხორაგოულის	40	10	299	370	250	40	—	—			11	15	16	6	1—80		
ხონის	69	10	259	169	386	69	—	—			11	15	16	6	1—80		
სენაკის	69	10	263	250	152	69	—	—			11	15	14	6	1—80		
მარტვილის	65	10	263	225	202	65	—	—			11	15	14	6	1—80		
აბაშის	69	10	263	252	202	69	—	—			11	15	14	6	1—80		
ზუგდიდის	60	10	291	252	224	60	282	—			11	15	15	6	1—80		
ჩხოროწყუს	52	10	291	252	224	52	282	—			11	15	15	6	1—80		
წალენჯიხის	50	10	291	252	224	50	282	—			11	15	15	6	1—80		
ხობის	73	10	291	252	224	73	—	—			11	15	15	6	1—80		
ოზურგეთის	46	10	180	225	215	46	249	494			11	14	14	6	1—80		
ლანჩხუთის	46	10	291	225	215	46	249	494			11	14	14	6	1—80		
ჩოხატაურის	46	10	180	225	215	46	247	494			11	14	14	6	1—80		
ზემო-სვანეთის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—		
ქ. ფოთი	57	10	180	225	215	57	—	—			11	15	14	6	1—80		
საქართველოს სსრ-ში	57	18	310	380	320	57	370	784	57	320	14	15	17	6	3	8	5

36. აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმებს ამ რესპუბლიკებისა და ოლქის შედგენილობაში შემავალი ცალკეული რაიონებისათვის, ხოლო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ დააწესონ, შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმები ცალკეული სოფლებისათვის და იმ ტერიტორიისათვის, რასაც სასოფლო საბჭო აერთიანებს.

ამასთანავე, თვითეულ რესპუბლიკასა, ოლქსა და რაიონში უცვლელად უნდა დარჩეს სოფლის მეურნეობის თვითეული დარგის დასაბეგრი შემოსავლის ის საერთო თანხა, რაც განსაზღვრულია მთლიანად რესპუბლიკისა, ოლქისა თუ რაიონისათვის დადგენილი ნორმების მიხედვით.

37. 34-36 მუხლების წესით დადგენილი ნორმები შემოსავლიანობისა მათი გამოქვეყნების შემდეგ არ შეიძლება შეიცვალოს საგადასახადო წლის განმავლობაში.

მემინდვრეობის შემოსავლის გამოანგარიშება.

38. მემინდვრეობის შემოსავალი განისაზღვრება ნათესის მიხედვით, ე. ი. იმისდამიხედვით, თუ მეურნეობაში ნამდვილად რამდენი მიწაა დათესილი.

39. ნათეს ფართობად ჩაითვლება აგრეთვე სპეციალური კულტურები, რომლებისათვისაც შემოსავლიანობის განსაკუთრებული ნორმები დაწესებული არ არის.

40. იმ მეურნეობისათვის, რომელმაც სათესი ფართობი არაპატივსადები მიზეზით შეამცირა, მემინდვრეობის შემოსავალი გამოიანგარიშება წინა წელს დათესილი ფართობის მიხედვით.

ძეველეობის შემოსავლის გამოანგარიშება.

41. მეველეობის შემოსავლის გამოანგარიშებისათვის სათვალავში მიიღება მეურნეობაში ქონებული ყველა სათიბი, როგორც წყალმისაგდები, ისე არაწყალმისაგდები, დაბლობი, მშრალმინდვრიანი და ტყიანი.

ოთხფეხი საქონლის შემოსავლის გამოანგარიშება.

42. ოთხფეხი საქონლის შემოსავლის გამოანგარიშებისათვის სათვალავში მიიღება:

ა) ცხენი, ხარი, კამეჩი, ვირი, ჯორი და აქლემი 4 წლისაზე უხნესი;

ბ) ბუღა 3 წლისაზე უხნესი;

გ) ძროხა და ფურ-კამეჩი პირველი მოგების შემდეგ და უმობელი 3 წლისაზე უხნესი;

დ) ნაზამთრი ცხვარი და თხა.

ოთხფეხი საქონლის ხნოვანობა გამოიანგარიშება 1932 წლის მაისის 1-სათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების შემოსავლის გამოანგარიშება.

43. მებოსტნეობისა, მებაღჩეობისა, მებაღეობისა, მევენახეობისა, მეთამბაქოობისა და სხვ. შემოსავლის გამოანგარიშებისათვის სათვალავში მიიღება ის ფართობი, რაც მეურნეობაში ამ კულტურებს უჭირავს. ამასთანავე, ვენახის და ხილის ბაღის ფართობი, აგრეთვე ხმილის (იაგოდა), მანდარინის და სხვა მრავალწლიანი ნარგავის ფართობი დაიბეგრება მხოლოდ ნაყოფის სხმოიარობის პირველი წლიდან.

არასამიწათმოქმედო შემოსავლის გამოანგარიშება.

44. არასამიწათმოქმედო საშოვარი გამოიანგარიშება მთელი დროისათვის 1931 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე.

45. სამუშაო ხელფასის შემოსავლის გამოანგარიშებისათვის მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის შედგენილობაში შეიტანება:

ა) იმ მომუშავის სამუშაო ხელფასი, რომელიც მუდმივ თავის სასოფლო მეურნეობაში სცხოვრობს—15%-ის რაოდენობით;

ბ) იმ მომუშავის სამუშაო ხელფასი, რომელიც მუდმივ თავისი სასოფლო მეურნეობის გარეშე სცხოვრობს—10%-ის რაოდენობით;

გ) გარე-სარეწაოზე დაქირავებით მუშაობისათვის მიღებული სასყიდელი—20%-ის რაოდენობით.

შენიშვნა. ის მოქალაქე, რომელიც სამუშაო ხელფასს და აგრეთვე გარე-სარეწაოზე დაქირავებით შრომის სასყიდელს იღებს, წარადგენს სასოფლო საბჭოში, არა უგვიანეს 1932 წლის ივნისის 15-ისა, თავისი სამუშაო ადგილის ცნობას 1931 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე მის მიერ მიღებული ხელფასის რაოდენობის შესახებ.

46. შინამრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა არასამიწათმოქმედო შემოსავლის (გარდა სამუშაო ხელფასისა) რაოდენობას თვითეული მეურნეობისათვის განსაზღვრავს სასოფლო საგადასახადო კომისია.

ამასთანავე, საერთო შემოსავლიდან გამოირიცხება სარეწაოს ყველა ძირითადი საწარმოო ხარჯი: ნედლეულისა, ნახევარფაბრიკატისა, სათბობისა, დაქირავებული მუშების ხელფასი და სხვ.

ამრიგად განსაზღვრული შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის შედგენილობაში შემდეგ საფუძველზე:

ა) გარე-სარეწაოზე დაუქირავებლად მიღებული შემოსავალი ჩაირიცხება 40%-ის რაოდენობით;

ბ) შინა-მრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა არასამიწათმოქმედო შემოსავალი, დაქირავებული მუშა-ძალის გამოუყენებლად, ჩაირიცხება 50%-ის რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) არაშრომითი ხასიათის შემოსავალი ჩაირიცხება 100%-ის რაოდენობით.

კოოპერირებულ შინა-მრეწველთა და ხელოსანთათვის, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ იყენებენ, ამრიგად გამოანგარიშებული შემოსავალი შემცირდება ერთი მეოთხედით, ეს შეღავათი ვრცელდება მხოლოდ ისეთ შინამრეწველზე და ხელოსანზე, რომელიც კოოპერატიულ სისტემაში შემავალი ამხანაგობის წევრია.

შენიშვნა. უკეთუ სარეწაო არტელის წევრები, რომელნიც საერთო სახელოსნოში ან შინ მუშაობენ, ნორმირებულ სამუშაო ხელფასს იღებენ და თავიანთ ნაწარმოებს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს ან კოოპერაციას აბარებენ, მათი შემოსავალი დაიბეგრება სამუშაო ხელფასისათვის დადგენილი წესისამებრ.

კერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავლის აღნუსხვა.

47. ინდივიდუალური მეურნეობის შემოსავალი, მიღებული კერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით, ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში, უკეთუ პროდუქტები გაიყიდა ისეთ ფასად, რაც აღემატება სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ფასს. ეს შემოსავალი გამოიანგარიშება მთელი დროის მიხედვით—1931 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის წარმოებული აღნუსხვიდან 1932 წლის აღნუსხვამდე. აღნიშნული შემოსავალი ჩაირიცხება დასაბეგრ შემოსავალში ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება მეურნეობის დანარჩენი დასაბეგრი შემოსავლის 30%-ს.

48. იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური შრომითი საგლეხო მეურნეობის წევრი თავის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გაასაღებს კოლმეურნეობის ფარდულში ან საკოლმეურნეო ბაზარზე, ამ წევრის ეს საბაზრო შემოსავალი დაბეგვრისაგან განთავისუფლდება.

49. მეურნეობის მიერ კერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავლის რაოდენობას განსაზღვრავს სასოფლო საგადასახადო კომისია.

სასოფლო საგადასახადო კომისიის მიერ გამოანგარიშებული შემოსავლის რაოდენობას დაამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

გ. გადასახადის გამოანგარიშება ინდივიდუალური შრომითი მეურნეობებისათვის.

50. ინდივიდუალურ შრომით მეურნეობებს, რომელთა დასაბეგრი შემოსავალიც 100 მანეთს არ აღემატება, გადასახადი გადახდებათ მტკიცე განაკვეთით—7 მანეთის რაოდენობით მეურნეობაზე.

გადასახადის გამოანგარიშება იმ ინდივიდუალური შრომითი მეურნეობებისათვის, რომელთა დასაბეგრი შემოსავალიც 100 მანეთზე მეტია, მოხდება განაკვეთების შემდეგი ტაბულის მიხედვით:

	დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა მეურნეობაზე.												

ამასთანავე, იმ მეურნეობას, რომელსაც 2 შრომის უუნარო წევრი ჰყავს, გადასახადი შეუმცირდება 5%-ით, იმ მეურნეობას, რომელსაც 3 შრომის უუნარო წევრი ჰყავს—10%-ით, ხოლო იმ მეურნეობას, რომელსაც 4 და მეტი შრომის უუნარო წევრი ჰყავს—15%-ით.

ასაკი, რომელიც იძლევა იმის უფლებას, რომ მეურნეობას შეუმცირდეს გადასახადი შრომის უუნარობის გამო, დაწესებულია მამაკაცთათვის 16 წლამდე და 60 წელზე მეტი, ხოლო ქალთათვის—16 წლამდე 55 წელზე მეტი.

დ. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების შეღავათები.

მცირეძალოვან მეურნეობათა შეღავათები.

51. მცირეძალოვანი მეურნეობა განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სრულიად ან ნაწილობრივ სასოფლო საგადასახადო კომისიის დადგენილებით.

ამ მიზნით, საგადასახადო აღნუსხვის ჩატარებასთან ერთად, სასოფლო საგადასახადო კომისიები შეადგენენ ღარიბ მეურნეობათა სიებს. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყოფ. წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების მცირეძალოვან მეურნეობათა განთავისუფლებას.

აღნიშნულ სიებს განიხილავს და შეამოწმებს ღარიბებისა, კოლმეურნეებისა და საშუალო გლეხთა აქტივის საერთო კრება და ამის შემდეგ სიები წარედგინება დასამტკიცებლად სარაიონო საგადასახადო კომისიას.

ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების შეღავათები ნათესი ფართობის გადიდების მიზნით.

52. ნათესი ფართობის გადიდების მიზნით გადასახადისაგან განთავისუფლდება ნათესი ფართობის მთელი ნამატი მეურნეობაში გაუტეხავ ან დიდხანს უხმარ მიწაზე.

ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების შეღავათები ტექნიკური კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარების მიზნით.

53. ინდივიდუალურ შრომით მეურნეობაში დაბეგვრისაგან განთავისუფლდება:

ა) შაქრის ჭარხლისა, კაუჩუკოსანი მცენარეებისა, ზაფრანისა და არახისის ნათესი;

ბ) ჩაის პლანტაცია;

გ) მეაბრეშუმეობისა და თუთის ხის ხრალის შემოსავალი;

დ) კენაფის, საბაგირო მცენარის, კანაფის, კენდირის და რამის ნათესი.

54. სელისა და კანაფის შემოსავლიანობის ნორმები დაწესდება მემინდვრეობის (ნათესის) შემოსავლიანობის ნორმების ნახევარი რაოდენობით.

გადასახადისაგან განთავისუფლდება:

ა) სელისა და კანაფის ყველა ნათესი ახლად გამოყენებულ მიწაზე და აგრეთვე კანაფის ყველა ნათესი მინდვრად;

ბ) სელისა და კანაფის ფართობის მთელი ნამატი 1931 წელთან შედარებით.

55. ბამბის ნათესი დაიბეგრება მემინდვრეობის შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით.

ბამბის ნათესი ურწყავ მიწაზე ყველა სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონში და ყველა ახალ რაიონში გადასახადისაგან განთავისუფლდება.

56. ის შემოსავალი, რასაც ინდივიდუალური შრომითი მეურნეობა მეფრინველეობიდან და შინაური კურდღლის მოშენებიდან მიიღებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება.

ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების შეღავათები მეცხოველეობისა და მერძეული მეურნეობის განვითარების მიზნით.

57. დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ძროხისა, ბუღისა, ფურ-კამეჩისა, ცხვრისა და თხის ნამატი 1931 წელთან შედარებით.

58. დაბეგვრისაგან განთავისუფლდება კარაკულის ჯიშის ცხვარი და მისი მეტისები.

ორდენებით დაჯილდოებულ პირთა, შრომის გმირთა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა (მათ რიცხვში გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარისა და საბადრაგო ჯარის სამხედრო მსახურთა), ინვალიდთა, გამხედროებული დაცვისა და მილიციის სამსახურში მყოფ პირთა და სხვ. შეღავათები.

59. ქვემოაღნიშნულ ტაბულაში გათვალისწინებული შეღავათები ეძლევა იმ მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის:

ა) სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ერთი ან რამდენიმე ორდენით ან და საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და აგრეთვე შრომის გმირი;

ბ) საკადრო სამერიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ვადიან (მუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1932 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური—საკადრო და რეზერვში მყოფი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირი, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება და რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდედამდე და ჯარსგარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ე) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ვ) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელპარტიზანი;

ზ) მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულების ოპერატიულ-საშწყობრო და სამეურნეო შედგენილობის პირი;

თ) გამხედრებული დაცვის სამსახურში მყოფი პირი;

ი) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება.

შელავათების ტაბულა.

მიეცემა შელავათი გადასახადის შემდეგი %-ის რაოდენობით:

როდესაც მეურნეობისათვის გამოანგარიშებული გადასახადის თანხა არის					უკეთუ მეურნ. არის სხვა შრომისუნარ. მამაკაცი	უკეთუ მეურნ. არ არის სხვა შრომისუნარ. მამაკაცი
10	მანეთამდე				100	100
10	მან.	მეტი	15	მან-მდე	75	90
15	მან.	„	20	„	50	75
20	„	„	30	„	35	50
30	„	„	50	„	25	35
50	„	„	75	„	15	25
75	„	„	100	„	5	10
100	„	„			5	5

60. უკეთუ მეურნეობის შედგენილობაში შედის ტერიტორიალური ნაწილის ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახური, გაწვეული სამთვიან სწავლებაზე სამსახურის პირველ წელიწადს ან სასწავლო შეკრებაზე საკუთარი სამწყობრო ცხენით, ეს ცხენი გადასახადით არ დაიბეგრება.

61. მეურნეობას, სადაც არის სამხედრო მსახური და სათადარიგო სამხედრო ვალდებული პირი, რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ სწავლებაზე და შეკრებაზე, ვადა გადასახადის იმ ნაწილის გადახდისა, რაც შეტანილ უნდა იქნეს სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, გადაედება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან. საურავი ამ დროისათვის დარიცხულ არ უნდა იქნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაზოგადოებული სექტორის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სხვადასხვა სამუშაოზე მომუშავე პირთა შეღავათები.

62. იმ პირის მეურნეობა, რომელმაც თავისი თავი დააკონტრაქტა ან მიამაგრა ქვანახშირის მრეწველობაში მიწის ქვეშ მუშაობისათვის ერთ წელიწადზე არა ნაკლები ვადით, გადასახადისაგან განთავისუფლდება.

უკეთუ აღნიშნული მეურნეობა თავის ვალდებულებას არ შეასრულებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მას გადახდება საერთო საფუძველზე.

63. დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ხე-ტყის დამზადებაზე, ხე-ტყის ჩამოტივტივებაზე და ტორფის დამზადებაზე მიღებული საშოვარი.

64. უკეთუ გარეთ წასული ინდივიდუალური გლეხი დაკონტრაქტებული იქნება სახელმწიფო მრეწველობაში, ტრანსპორტში, კავშირგაბმულობის საწარმოში, საბჭოთა მეურნეობაში, სახელმწიფო მშენებლობაში და აგრეთვე სამომხმარებლო და საბინაო სამშენებლო კოოპერაციის მშენებლობაში, ამ გლეხის მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის დროს აღნიშნული მუშაობით მიღებული საშოვარი აღინუსხება ნახევარი რაოდენობით 45 მუხლით გათვალისწინებულ ნორმებთან შედარებით.

ეს შეღავათი გავრცელდება აგრეთვე გარეთ წასულ მონადირეზე, რომელიც დაკონტრაქტებული იქნება საბეწვეულო ნედლეულის ძირითადი დამმზადებლების მიერ.

სამუშაოდ გარეთ წასულ პირს შეღავათი მოესპობა, უკეთუ მან დაარღვია სამეურნეო ორგანოსთან დადებული ხელშეკრულება.

65. დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ის შემოსავალი, რასაც მეურნეობას მისცემს შეგროვება:

ა) წიწიბოსი და კედრის ნაყოფისა;

ბ) საუტილიზაციო ნედლეულისა და ლითონის ნამტვრევისა;

გ) ფისისა.

ეს შეღავათი მეურნეობას მიეცემა იმ პირობით, უკეთუ იგი მთლად შეგროვებულ წიწიბოს, კედრის ნაყოფს, საუტილიზაციო ნედლეულს, ლითონის ნამტვრევს და ფისს სახელმწიფო თუ კოოპერატიულ ორგანიზაციას ჩააბარებს.

გადასახლებულთა შეღავათები.

66. ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომელნიც 1930 წლის აპრილის 1-მდე გადასახლდნენ ახალ ადგილას, გადასახლების წესების თანახმად, ეძლევათ შემდეგი შეღავათი:

ა) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სხვა სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზადებისათვის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, განთავისუფლდება გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ.

1930 წლის აპრილის 1-ის შემდეგ გადასახლებულ ინდივიდუალურ მეურნეობას შეღავათი მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი გადასახლდა იმ რაიონებში, რომელთა სიასაც შეადგენს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად. იმავე წესით განისაზღვრება ამ მეურნეობათა შეღავათების მოცულობა.

67. უკეთუ გადასახლებულ მეურნეობას სტიქიური უბედურება დააზარალებს, ვადა, რომლის განმავლობაშიაც მას შეღავათი ეძლევა, გადიდდება ერთი წლით.

სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მეურნეობათა შეღავათები.

68. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობა განთავისუფლდება გადასახადისაგან სასოფლო საგადასახადო კომისიის მიერ სრულიად ან ნაწილობრივ—მეურნეობისათვის მიყენებული ზიანისა და მეურნეობის ძალოვნების მიხედვით.

კულაკური გამოსვლებით, დაზარალებულთა შეღავათები.

69. შრომითი მეურნეობა, უკეთუ მის შედგენილობაში შედის სოფლის იმ აქტივისტის ქვრივი ან არასრულწლოვანი შვილი, რომელიც კულაკების მიერ მოკლულ იქნა, განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში აღნიშნული პირის სიკვდილის შემდეგ, თუნდაც მეურნეობაში შრომის უნარიანი წევრი იყოს.

სხვა შეღავათები.

70. საგლეხო შრომითი მეურნეობა, რომელიც ეკუთვნის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით მოკლული ტყის მომუშავის ქვრივსა ან არასრულწლოვან შვილებს, განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში აღნიშნული მომუშავის სიკვდილის შემდეგ.

71. იმ პირთა მეურნეობა, რომელთაც იკისრეს ობლებისა და მათი ქონების მეურვეობა და მზრუნველობა, განთავისუფლდება მეურვეობაში მყოფ პირთა ხვედრი მიწის ნაკვეთებისა და მათი კუთვნილი ოთხფეხი საქონლის შემოსავლის გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების დროიდან.

ეს შეღავათი შეფარდებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეურვე ან მზრუნველი ობოლთან ერთად სცხოვრობს და მათი მეურნეობა ერთად სწარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. გადასახადის შეტანის ვადები.

72. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები:

1-ლი ვადა—1932 წ. ოქტომბრის 1 . . . 25% შენაწერი გადასახადისა;
მე-2 ვადა—1932 წ. ნოემბრის 15 . . . 50% შენაწერი გადასახადისა;
მე-3 ვადა—1932 წ. დეკემბრის 15 . . . 25% შენაწერი გადასახადისა.

შენიშვნა. აფხაზეთის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს შემდეგ ვადებზე:

1-ლი ვადა—1932 წ. დეკემბრის 1 . 25% შენაწერი გადასახადისა;
მე-2 ვადა—1933 წ. თებერვლის 1 . 50% შენაწერი გადასახადისა;
მე-3 ვადა—1933 წ. მარტის 1 . . . 25% შენაწერი გადასახადისა.

73. ზემოაღნიშნული ვადები გამოცხადდება სასოფლო ყრილობაზე, შეიტანება საგადასახადო ფურცელში და მთელი საგადასახადო წლის განმავლობაში უცვლელი დარჩება.

ᲗᲐᲠᲘ V.

კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრა.

74. ყველა კულაკური მეურნეობა დაიბეგრება მისი ნამდვილი შემოსავლიანობის მიხედვით ინდივიდუალური წესით და არა ნორმების მიხედვით.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და სახელმწიფო პროკურატურის ორგანოებმა მტკიცედ უნდა ადევნონ თვალყური, რათა საშუალო გლეხთა მეურნეობანი არავითარ შემთხვევაში არ იქნენ დაბეგრილი ინდივიდუალური წესით. აღნიშნულის დარღვევისათვის დამნაშავე მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში საადმინისტრაციო ან სასამართლო წესით.

75. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება შემდეგი ნიშნების საფუძველზე.

I. უკეთუ მეურნეობა სისტემატიურად იყენებს დაქირავებულ შრომას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის ან საშინამრეწველო რეწაობაში და საწარმოში, იგი ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამუშავების თავისებურობით ან რეწაობის ხასიათით და ამ დაქირავებული შრომის გამოყენება არ აღემატება შემდეგ ზღვრულ რაოდენობას:

ა) სამარცვლეულო მეურნეობისათვის აღმოსავლეთ საქართველოში—50 სამუშაო დღე წელიწადში ერთ მეურნეობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოში—35 სამუშაო დღე წელიწადში ერთ მეურნეობაზე;

ბ) საბალე მეურნეობისათვის—75 სამუშაო დღე;

გ) საბოსტნე მეურნეობისათვის—100 სამუშაო დღე;

დ) საჩაიე მეურნეობისათვის—150 სამუშაო დღე;

ე) საბამბე მეურნეობისათვის—150 სამუშაო დღე;

ვ) სათამბაქო მეურნეობისათვის—240 სამუშაო დღე;

ზ) ბრინჯის მეურნეობისათვის—50 სამუშაო დღე;

თ) სავენახე მეურნეობისათვის—125 სამუშაო დღე;

ი) მესაქონლეობის მეურნეობისათვის—1 მუდმივი მწყემსი ან 1 მწყემსის თანაშემწე;

კ) საშინამრეწველო და სახელოსნო რეწაობისათვის—ისეთ ფარგლებში, რაც მომქმედი საარჩევნო კანონის თანახმად, არ იწვევს საბჭოების არჩევის უფლების ჩამორთმევას.

შენიშვნა. უკეთუ მეურნეობას შრომისუნარიანი მამაკაცი არა ჰყავს (ქერეის, ობლის, ინვალიდის, მოსწავლის მეურნეობა), ან უკეთუ შრომის უნარიანი მამაკაცი მძიმე ავადმყოფია, წითელარმიაშია ან წასულია გარეთ სამშენებლო სამუშაოზე, თუ სამთო რეწაობაში სამუშაოდ, ერთი მუდმივი მუშის ყოლა (ან მუშა-ძალის გამოყენება ისეთ ფარგლებში, რაც არ აღემატება ერთი მუდმივი მუშის სამუშაო დღეთა საშუალო წლიურ რიცხვს) და დაქირავებული მუშა-ძალის გამოყენება ამა მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, არ ჩაითვლება ისეთ ნიშნად, რომლის გამოც ასეთი მეურნეობა ინდივიდუალური წესით უნდა დაიბეგროს.

II. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ მას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი ან კარაქის სადღვები, ბურღულის საფქველი, ფეტვის საფქველი, ბოჭკოს საჩეჩელი, მატყლის საპენტი, სასრესი, კარტოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი საწარმო, ნორმიული ქარხანა ან სხვა რამ სამრეწველო საწარმო, რომლისთვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი, მათი შემოსავლის მიუხედავად; უკეთუ მეურნეობას აქვს წყლის თუ ქარის ძალით მომქმედი საწარმო, იგი ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად იმ პირობით, რომ ამ საწარმოს შემოსავალი წელიწადში აღემატებოდეს 150 მანეთს, ხოლო წისქვილის შემოსავალი, როდესაც მეურნეობის საერთო შემოსავალი 500 მანეთზე მეტია,—200 მანეთს წელიწადში.

შენიშვნა. უკეთუ წყლის ან ქარის ძალით მომქმედი საწარმო რამდენსამე თანამონაწილეს ეკუთვნის, მათ შორის ინდივიდუალური წესით დაიბეგრებიან მხოლოდ ისინი, როდესაც სხვა ნიშნები არ არის, რომელთა შემოსავალიც საწარმოს მათი კუთვნილი ნაწილისა ზემოაღნიშნულ ზღვრულ რაოდენობას აღემატება.

III. უკეთუ მეურნეობას აქვს სამრეწველო საწარმო და მას იჯარით აქირავებს ან იყენებს გარემო მოსახლეობის ექსპლოატაციისათვის სამუშაოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში გაცემით, ან ნედლეულის შესყიდვით ამ საწარმოში გადასამუშავებლად, ან და სხვისი ნედლეულის გადამუშავების საშუალებით, რისთვისაც იგი სასყიდელს ნატურად იღებს, ეს მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება.

IV. მეურნეობა, რომელიც აწარმოებს არყის გამოხდას გადასამუშავებლად საჭირო ნედლეულის შესყიდვით, ან და აწარმოებს ამ გამოხდას ახვისი ნედლეულიდან, რისთვისაც სასყიდელს ნატურად ან ფულად იღებს, ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად, უკეთუ ამ წყაროს შემოსავალი წელიწადში 300 მანეთს აღემატება და მეურნეობის საერთო შემოსავალი კი წელიწადში 500 მანეთზე მეტია.

V. უკეთუ მეურნეობა აქირავებს რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას მექანიკური ძრავით ან ამ მანქანით ასრულებს სამუშაოს სხვა მეურნეობისათვის სასყიდლის აღებით, იგი კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება.

VI. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ მან შეამცირა თავისი ნათესი ფართობი და სისტემატიურად აქირავებს თავის საწევ ძალას სხვა მეურნეობას და ამ გაქირავებით მიღებული შემოსავალი აღემატება 125 მანეთს წელიწადში.

VII. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი იჯარით იღებს მიწას ისეთ პირობებში, რასაც სარაიონო საგადასახადო კომისია კაბალურ პირობებად სცნობს მიწის გამცემისათვის.

VIII. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი აქირავებს საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად ცალკეულ მოწყობილ შენობებს, რაც არ არის აგებული მეურნეობის წევრთა საბინაო საჭიროებისათვის, იმ პირობით, რომ ამ გაქირავებით მიღებული შემოსავალი აღემატებოდეს:

ა) 300 მანეთს წელიწადში, როდესაც მეურნეობის საერთო შემოსავალი წელიწადში 500 მანეთზე მეტია;

ბ) საკურორტო ადგილას—500 მანეთს წელიწადში, როდესაც მეურნეობის საერთო შემოსავალი წელიწადში 700 მანეთზე მეტია.

შენიშვნა. ინდივიდუალური წესით არ დაიბეგრება ის მუშა-მოსამსახურე, რომლის ძირითად მოსაქმეობას შეადგენს დაქირავებით მუშაობა, უკეთუ მას აქვს მცირე სოფლის მეურნეობა, როგორც დამხმარე წყარო შემოსავლისა, და ეწევა თავისი კუთვნილი შენობის ექსპლოატაციას იჯარით გაცემის საშუალებით. ეს მუშა-მოსამსახურე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება საერთო წესისამებრ, როგორც შრომითი საგლეხო მეურნეობა.

IX. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი სავაჭრო ან სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით იჯარით იღებს ბაღს, ვენახს და სხვ.

მეურნეობა კულაკურ მეურნეობად არ ჩაითვლება: ა) უკეთუ იჯარით აღებული ბაღის, ვენახის და სხვ. ფართობი არ აღემატება უწყებულ სოფელში იმავე სანახების საშუალო ნორმას ერთ მეურნეობაზე, ან ბ) უკეთუ საწილადოდ იჯარით აღებული ბაღისა, ვენახისა და სხვ. დამუშავება სწარმოებს დაქირავებული შრომის გამოუყენებლად.

X. უკეთუ მეურნეობის წევრი ეწევა მევახშეობას, ვაჭრობას ან სავაჭრო შუამავლობას, ან და უკეთუ ამ წევრს აქვს სხვა არაშრომითი შემოსავალი (მათ შორის რელიგიური კულტის მსახური), ეს მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, ამ წყაროებიდან მიღებული შემოსავლის რაოდენობის მიუხედავად.

76. სასოფლო საბჭო შეადგენს ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიას და განსაზღვრავს მათი შემოსავლის რაოდენობას.

სასოფლო საბჭოს მიერ შედგენილი სია კულაკური მეურნეობებისა და მათი შემოსავლის გამოანგარიშება განხილულ უნდა იქნეს ღარიბებისა, კოლმეურნეებისა და საშუალო გლეხთა აქტივის კრებებზე.

ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიას და მათ შემოსავალს საბოლოოდ დაამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია. უკეთუ ამ კომისიას ეჭვი დაებადება ამა თუ მეურნეობის ინდივიდუალური დაბეგვრისა და აგრეთვე შემოსავლის განსაზღვრის სისწორის თაობაზე, იგი მოახდენს მეურნეობის გამოკვლევას.

77. არასამიწათმოქმედო საშოვარი, ამ რიცხვში ყოველგვარი სამუშაო ხელფასი, მთლად ჩაირიცხება კულაკური მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში, უკეთუ ოჯახის იმ წევრს, ვისაც ეს საშოვარი აქვს, მეურნეობასთან კავშირი არ გაუწყვეტია და აქვს ამ მეურნეობაში თავისი მიწის ნაკვეთი ან და იგი ითვლება კომლის წევრად და შეაქვს მეურნეობაში თავისი საშოვარის ნაწილი.

78. ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათათვის გადასახადი გამოიანგარიშება განაკვეთების შემდეგი ტაბულის მიხედვით:

| დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა. | | |

80. კულაკი, რომელიც სოფლის მეურნეობას საქალაქო მიწაზე ეწევა, ან იბეგრება ან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ან საშემოსავლო გადასახადით (მუხ. 31).

81. იმ მეურნეობას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით იბეგრება, არავითარი შეღავათის უფლება გადასახადის სფეროში არა აქვს.

82. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით დაბეგრილი მეურნეობა შეწერილ გადასახადს გადაიხდის მთლად ერთ ვადაზე—1932 წლის სექტემბრის 1-სათვის.

83. ის განკულაკებული მეურნეობა, რომელსაც არა აქვს ნამალევი შემოსავალი, კაპიტალი და ქონება, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება საერთო საფუძველზე ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების თანაბრად, ხოლო მას არა აქვს არავითარი შეღავათის უფლება.

ᲗᲐᲠᲘ VI.

გადასახადის გადახდევინების ორგანოები. განცხადებათა და საჩივართა შეტანის და განხილვის წესი.

84. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარება სოფლად დაეკისრება სასოფლო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო იმ ქალაქ-ადგილებში, სადაც სოფლის მეურნეობის მწარმოებელი პირნი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან,—საქალაქო საბჭოებს.

85. სასოფლო საბჭოს დაეკისრება:

ა) აღნუსხოს შემოსავლის წყაროები:

ბ) წინასწარ შეადგინოს სიები: 1) იმ მცირეძალოვანი მეურნეობებისა, რომელნიც განთავისუფლებულ უნდა იქნენ გადასახადისაგან სრულიად ან ნაწილობრივ; 2) იმ მეურნეობებისა, სადაც იბეგრება კერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი; 3) იმ მეურნეობებისა, რომელთაც აქვთ არასამიწათმოქმედო სამოვარი; 4) ინდივიდუალური წესით დასაბეგრი კულაკური მეურნეობებისა;

გ) გამოიანგარიშოს დასაბეგრი შემოსავლისა და შესაწერი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობა, შეავსოს საგადასახადო ფურცლები, აწარმოოს ცალკე გადამხდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე მთლად ანგარიშწარმოება და ანგარიშგება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სასოფლო საბჭოს დაკისრებული აქვს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

დ) ჩააბაროს გადამხდელთ საგადასახადო ფურცლები;

ე) მიიღოს გადასახადის შესატანი თანხა და გადაუგზავნოს იგი, დადგენილი წესისამებრ, გადასახადის მიმღებ დაწესებულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) შეადგინოს სათანადო აქტები სტიქიური უბედურების შემთხვევაში;

ზ) დაუბრუნოს და გაუბაროს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელს ზედმეტად შეტანილი თანხა იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საბჭო გადასახადს იღებს;

თ) დააჯარიმოს გადამხდელი ადმინისტრატიული წესით ამა დადგენილების 98 მუხლის თანახმად;

ი) იხმაროს იძულებითი ღონისძიება გადასახადის გადახდევინებისათვის არაპირიან გადამხდელთა მიმართ.

86. სასოფლო საბჭოებთან ყველგან მოეწყობა სასოფლო საგადასახადო კომისიები.

სასოფლო საგადასახადო კომისიის წევრები არიან:

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე, სოფლის მოქალაქეთა საერთო კრების წარმომადგენელი, კოლმეურნეობის გამგეობის წარმომადგენელი და ღარიბთა ჯგუფის წარმომადგენელი.

სასოფლო საგადასახადო კომისიის თავმჯდომარე არის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

87. სასოფლო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) განიხილოს და წარადგინოს დასამტკიცებლად სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მცირეძალოვან მეურნეობათა სიები;

ბ) წინასწარ განსაზღვროს თვითეული მეურნეობისათვის რაოდენობა არასამიწათმოქმედო შემოსავლისა;

გ) წინასწარ განსაზღვროს შემოსავალი იმ მეურნეობებისა, სადაც იბეგრება კერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი;

დ) წინასწარ განიხილოს კულაკურ მეურნეობათა სია და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ე) წინასწარ განიხილოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა საჩივარი და თხოვნა შეღავათისა და მონაკლების შესახებ.

88. იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, 85 მუხლში აღნიშნულ ფუნქციებს განახორციელებენ საქალაქო საბჭოები, რომლებთანაც მოეწყობა სათანადო საგადასახადო კომისიები.

89. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აღნუსხვის საქმეს;

ბ) შეამოწმოს, თუ რამდენად სწორია სასოფლო საბჭოების მიერ შედგენილი სოფლობრივი სიები და მათ მიერვე წარმოებული აღნუსხვა შემოსავლის წყაროებისა;

გ) საერთო მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს გადასახადის გადახდევინების საქმეს რაიონის ფარგლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ინსტრუქტირება გაუწიოს კოლმეურნეობათა გამგეობებს, თვალყური ადევნოს კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშებას და შეამოწმოს მათ მიერ ვეგადასახადის წინასწარი და საბოლოო გამოანგარიშების სისწორე;

ე) გაანთავისუფლოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სრულიად ან ნაწილობრივ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობანი;

ვ) მისცეს გადასახადის გადამხდელთ კანონით გათვალისწინებული ყველა შელავათი და მონაკლები;

ზ) იხმაროს იძულებითი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებისათვის იმ წესით, რაც გათვალისწინებულია გადასახადების გადახდევინების დებულებაში;

თ) დააჯარიმოს გადამხდელი გადასახადის გამოსაანგარიშებლად საჭირო ცნობების არა თავის დროზე წარმოდგენისათვის და აგრეთვე არასწორე ცნობების მიცემისათვის;

ი) გამოიანგარიშოს დასაბეგრი შემოსავალი და შესაწერი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი იმ რაიონების გამოკლებით, სადაც ეს მუშაობა დაკისრებული აქვს სასოფლო საბჭოს;

კ) დაუბრუნოს და გაუბაროს გადასახადის გადამხდელს ზედმეტად შეტანილი თანხა;

ლ) აწარმოოს ცალკე გადამხდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე მთლად ანგარიშწარმოება და ანგარიშგება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარგში.

90. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა სარაიონო საგადასახადო კომისიები შემდეგი შედგენილობით:

ა) თავმჯდომარე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების გამგე;

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საადგილმამულო განყოფილების გამგე;

დ) სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ე) კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირის გამგეობის წევრი;

ვ) სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე—იმ საქმეების გამო, რაც უწყებულ სოფელს შეეხება;

ზ) სარაიონო საგეგმო კომისიის წარმომადგენელი.

91. სარაიონო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) წინასწარ განიხილოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პროექტები დადგენილებისა შემოსავლის ცალკე წყაროებისათვის შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

ბ) გადასწყვიტოს საკითხი მცირეძალოვან კოლმეურნეობათა გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ და აგრეთვე დაამტკიცოს იმ კოლმეურნეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების სიები, რომელნიც მცირეძალოვნობის გამო გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნენ;

გ) განიხილოს და დაამტკიცოს იმ მეურნეობათა სიები და შემოსავლის რაოდენობა, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს კერძო ბაზარზე ჰყიდიან;

დ) განიხილოს გადამხდელთა საჩივრები;

ე) განიხილოს და დაამტკიცოს ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიები და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ვ) გამოარკვიოს გადამხდელთა არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობა და საბოლოოდ განსაზღვროს მთლად დასაბეგრი შემოსავლის თანხა იმ მეურნეობათათვის, რომელთაც არასამიწათმოქმედო საშოვარი აქვთ.

92. ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო) ვალდებულია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს, მათი მოთხოვნისამებრ, ცნობა იმ თანხების შესახებ, რაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთ მიეცათ; ამასთანავე, მათ უნდა აღნიშნონ თანხის მიმღების სახელი, მამის სახელი და გვარი, მათი საცხოვრებელი ადგილი (სოფელი, რაიონი) და აგრეთვე ის, თუ რისთვის მიეცათ თანხა გადამხდელთ.

93. ინდივიდუალურ მეურნეობათა და კოლმეურნეთა ყველა განცხადება და საჩივარი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ შეიტანება სასოფლო საბჭოში, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს იგი განსახილველად სასოფლო საგადასახადო კომისიას.

სასოფლო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სარაიონო საგადასახადო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

94. კოლმეურნეობათა განცხადება და საჩივარი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამო შეიტანება სარაიონო საფინანსო განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს იგი განსახილველად სარაიონო საგადასახადო კომისიას.

სარაიონო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებში.

ამ ორგანოების გადაწყვეტილება საბოლოოა.

95. განცხადებათა და საჩივართა შეტანისათვის დადგენილია შემდეგი ვადები:

ა) საჩივარი შემოსავლის წყაროებისა და მჭამელთა რიცხვის არასისწორით აღრიცხვის შესახებ და შემოსავლის განსაზღვრისა და გადასახადის გამოანგარიშების შესახებ, აგრეთვე განცხადება შეღავათის მიცემის შესახებ, გარდა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული შეღავათისა, შეტანილ უნდა იქნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა უგვიანეს ერთი თვისა გადამხდელისათვის საგადასახადო ფურცლის ჩაბარებ-
ბის დღიდან;

ბ) გაცხადება სტიქიური უბედურების გამო შეღავათის მიცემის შესახებ, უკეთუ სტიქიური უბედურება შემოსავლის წყაროების აღნუსხვამდე მოხდა, შეტანილ უნდა იქნეს აღნუსხვის დასაწყისს; დანარჩენ შემთხვევაში განცხადება შეიტანება 15 დღის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც სტიქიური უბედურება მოხდა.

96. განცხადება და საჩივარი განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა მათი შეტანის დღიდან.

97. განცხადებისა და საჩივრის შეტანა გადასახადის გადახდევინებას ვერ შეაჩერებს. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია გადამხდელის სასარგებლოდ, უმართებულოდ გადახდევინებული თანხა დაბრუნებულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაზე.

ᲗᲐᲠᲘ VII.

გადამხდელთა პასუხისმგებლობა.

98. უკეთუ გადამხდელი გადასახადის გადახდევინების ორგანოს შემოსავლის წყაროებს დაუმალავს, იგი დაჯარიმებულ უნდა იქნეს საადმინისტრაციო წესით ან მიიცეს პასუხისგებაში სასამართლო წესით.

ჯარიმას დაადებს სასოფლო საბჭო. ჯარიმა შემოსავლის წყაროს გადამალვისათვის არ შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე ხუთჯერ აღემატებოდეს იმ თანხას, რა თანხითაც შემცირდება შეწერილი გადასახადი საშემოსავლო წყაროს გადამალვის გამო.

სასოფლო საბჭოს დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

99. ცნობების არა თავის დროზე წარდგენისათვის და აგრეთვე კოლექტიური მეურნეობის გადასახადის გამოსაანგარიშებლად არასწორი ცნობების მიცემისათვის დამნაშავეს დაედება ჯარიმა 25 მანეთამდე.

100. გადამხდელს, რომელიც გადასახადს ვადაზე არ გადაიხდის, შეეფარდება გადასახადთა გადახდევინების დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

კერძოდ, იმ გადამხდელის ქონება, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის, აიწერება და გაიყიდება, ხოლო ვადის გადაცილებისათვის მას გადახდება საურავი შემდეგი რაოდენობით:

კოლექტიურ მეურნეობას—0,1%,

ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობას—0,2%,

კულაკურ მეურნეობას—1% თვითეული ვადაგადაცილებული დღისათვის.

320

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა ო ი VIII.

გადასახადის შემოსავლის განაწილება.

101. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მიღებული ყველა თანხა მიიქცევა ადგილობრივ სახსრად სასოფლო, სარაიონო და საქალაქო ბიუჯეტში.

102. სასოფლო ბიუჯეტში უშუალოდ მიიქცევა 50% სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მთელი იმ თანხისა, რაც მიღებული იქნება უწყებული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე.

103. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მიღებული მთელი თანხა, გარდა იმ თანხისა, რაც უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში მიიქცევა, ჩაირიცხება სარაიონო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში. იმ შემთხვევაში, როდესაც უწყებული სოფელი დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილ ქალაქს უერთდება, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მიღებული თანხა, გარდა იმ ნაწილისა, რაც უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში მიიქცევა, ჩაირიცხება საქალაქო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

104. ის თანხა, რაც მიღებული იქნება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით საქალაქო მიწებიდან, მთლად მიიქცევა საქალაქო ბიუჯეტში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1932 წ. მაისის 26.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 125 და 126 №-ში 1932 წ. მაისის 30 და ივნისის 1.

მთავლიტი № 1359. საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა. ტირაჟი 1500.